




ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები - საქართველო მსოფლიო ბანკის 2019 წლის შეფასებით



ანალიზი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის - [სადამკვირვებლო ჯგუფების გაძლიერება მთავრობის ანგარიშვალდებულებისთვის](#) - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია [ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის](#) მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება. ანალიზის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.



ოქტომბერი, 2019

შინაარსი

ძირითადი მიგნებები	2
შესავალი	4
მეთოდოლოგია.....	4
საქართველოს მარჯვენებლები	5
ინდივიდუალური კრიტერიუმები	8
გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება	8
პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა.....	10
ეფექტური მმართველობა	12
რეგულირების ხარისხი.....	14
კანონის უზენაესობა	16
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	18
დასკვნა	20

ძირითადი მიგნებები

მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით საქართველომ მმართველობის ინდიკატორებში ყველაზე მაღალი შეფასება 2014 წელს მიიღო. ამ დრომდე საქართველოს მაჩვენებლები სტაბილურად და სწრაფი ტემპით იზრდებოდა. მოცემული პერიოდის განმავლობაში ქვეყანამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროგრესს კანონის უზენაესობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებებში მიაღწია.

მიუხედავად აღნიშნულისა, 2014 წლიდან ქვეყნის განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად შენედა. მართალია მსოფლიო ბანკის უახლესი შეფასებით საქართველომ წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა რეგულირების ხარისხისა და ეფექტური მმართველობის კრიტერიუმებში, თუმცა 2018 წელს ნაცვლად განვითარების რეგრესი დაფიქსირდა გამონათვის თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და პოლიტიკური სტაბილურობის მიმართულებებში.

- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში სხვა კრიტერიუმებთან შედარებით ყველაზე მაღალი ქულით არის შეფასებული. მიუხედავად აღნიშნულისა 2018 წელს მოცემული მიმართულებით საქართველოს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაუარესდა და ის დაუბრუნდა 2014 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს.

2018 წელს განცდილი რეგრესის მიუხედავად კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს მიმართულებას, რომელშიც საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით.

- კანონის უზენაესობა

შეფასების თანახმად კანონის უზენაესობის მიმართულებით საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში, თუმცა მას შემდეგ კანონის უზენაესობის მდგომარეობა ქვეყანაში უარესდებოდა.

მართალია, 2018 წელს კანონის უზენაესობის შეფასებამ მცირედით იმატა თუმცა ის კვლავაც ვერ დაუბრუნდა 2014 წლის მაჩვენებელს.

აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით, კანონის უზენაესობის მდგომარეობა მსგავსი ქულით არის შეფასებული საქართველოსა და რუმინეთში. კანონის უზენაესობა საქართველოში ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ჩეხეთის, სლოვაკეთის, პოლონეთისა და უნგრეთის მაჩვენებლებს.

- გამონათვის თავისუფლება

გამონათვის თავისუფლების მიმართულებით საქართველოს შეფასება მხოლოდ მცირედით აღემატება შესაძლო მაქსიმალური შეფასების ნახევარს და ის 56.16%-ია. მართალია აღნიშნული წარმოადგენს გაუმჯობესებას წინა წელთან შედარებით, თუმცა ის კვლავაც ჩამოუვარდება 2014-2015 წლის მაჩვენებლებს.

გამოხატვის თავისუფლება საქართველოში აღემატება ევროკავშირის არაწევრი აღმოსავლეთ ევროპის და საქართველოს მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს, თუმცა საქართველოზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ევროკავშირის წევრ რეგიონის ყველა ქვეყანას.

- პოლიტიკური სტაბილურობა

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სტაბილურობის კრიტერიუმში საქართველო მაღალი ქულით არასდროს შეფასებულა, ინდექსის თანახმად ქვეყანაში ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და 2018 წელს მან მხოლოდ 30% შეადგინა.

მოცემულ კრიტერიუმში საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი შეფასება აქვს რეგიონში და ის მხოლოდ უკრაინის, რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის მაჩვენებლებს აღემატება.

- ეფექტური მმართველობა

ეფექტური მმართველობა საქართველოში 2018 წელს 74%-ით არის შეფასებული. მოცემულ კრიტერიუმში საქართველოს შეფასება მნიშვნელოვნად შემცირდა 2014 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში, რის შემდეგაც ის სტაბილურად იზრდებოდა და 2018 წელს წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო.

ეფექტური მმართველობის მხრივ, საქართველოს მაჩვენებელი აღემატება ევროპის ისეთი ქვეყნების მაჩვენებლებს როგორც არის უნგრეთი, ბულგარეთი და რუმინეთი.

- რეგულირების ხარისხი

რეგულირების ხარისხი, მმართველობის ეფექტურობასთან ერთად წარმოადგენს იმ კრიტერიუმს, რომელშიც საქართველო წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი ქულით არის შეფასებული და 83.17%-იანი მაჩვენებელი აქვს.

საქართველოში კერძო სექტორის განვითარების მიზნით რეფორმების შემუშავებისა და გატარების უნარი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით არის შეფასებული აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით და ის მხოლოდ ჩეხეთის მაჩვენებელს ჩამოუვარდება.

შესავალი

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორებით ხდება სახელმწიფო მმართველობის სისტემათა ეფექტურობის შეფასება სხვადასხვა მიმართულებით და დგება შესაბამისი რეიტინგი. რეიტინგი ეფუძნება ისეთ კრიტერიუმებს, როგორც არის: გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება, პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა, ეფექტური მმართველობა, რეგულირების ხარისხი, კანონის უზენაესობა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. რეიტინგს საფუძველი ჩაეყარა 1999 წელს World Bank Institute-ის, Development Research Group of the World Bank-ისა და Brooking Institution-ის მიერ.¹

მოცემული ანალიზის მიზანია მკითხველისთვის საქართველოს მაჩვენებლების გაცნობა, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, განვლილი პროგრესის განხილვა და საქართველოს მაჩვენებლების შედარება აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებთან.²

შესაბამისად, თავდაპირველად დოკუმენტი მიმოიხილავს რეიტინგის მეთოდოლოგიას. შემდეგი თავი დაეთმობა საქართველოს პროგრესის/რეგრესის განხილვას ბოლო წლების განმავლობაში, რის შემდეგაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს მაჩვენებლების შედარება აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან.

მოცემული დოკუმენტი არ განიხილავს კონკრეტული მიმართულებებით საქართველოს თუ სხვა სახელმწიფოთა მაჩვენებლების მატებისა თუ კლების შესაძლო გამომწვევ შედეგებს.

მეთოდოლოგია

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები წარმოადგენს კვლევით მონაცემთა ბაზას, რომელიც სრულად ეფუძნება სხვადასხვა გლობალურ რეიტინგებსა და შეფასებებს (მაგ. Freedom House, IREX Media Sustainability Index, Open Budget Index, World Justice Project და ა.შ., სულ 32)³. ეს მონაცემები, თავის მხრივ, ეყრდნობა კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ისევე როგორც კერძო სექტორის წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ მოსაზრებებსა და შეფასებებს. ამ გლობალური რეიტინგების გაერთიანების გზით ხდება ახალი ერთიანი მაჩვენებლების მიღება.⁴ გლობალური მმართველობის ინდიკატორებით მსოფლიოს მასშტაბით ფასდება 214 ქვეყანა. მონაწილე სახელმწიფოთა შეფასება ხდება

1 ზოგადი ინფორმაცია შეფასების შესახებ: <http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home>.

2 აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის დეპარტამენტის სტანდარტით, https://www.newworldencyclopedia.org/entry/Eastern_Europe.

3 მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები ეფუძნება შემდეგ მონაცემთა ბაზებს:

<http://info.worldbank.org/governance/wgi/Home/downloadFile?fileName=Table1.pdf>.

4 მონაცემთა გაერთიანების მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1682130.

ქვემოთ მოცემული ექვსი კრიტერიუმის მიხედვით. თითოეულ კრიტერიუმში ქვეყნები ფასდებიან 0%-დან 100%-მდე მაჩვენებლით.

1. გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება – ფასდება ხელისუფლების მმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, სიტყვის, მედიის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.

2. პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა – ფასდება მმართველობის ძალადობრივი გზით შეცვლის ალბათობა, ისევე როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძალადობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ქმედებები.

3. ეფექტური მმართველობა – ფასდება სახელმწიფო სერვისების ეფექტურობა, საჯარო სამსახურის ხარისხი და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

4. რეგულირების ხარისხი – ფასდება სახელმწიფოს უნარი შეიმუშაოს და გაატაროს რეფორმები კერძო სექტორის განვითარების მიზნით.

5. კანონის უზენაესობა – ფასდება მთავრობის მოქმედებების კანონის ნორმებთან შესაბამისობა, სასამართლო ხელისუფლების პატივისცემა, ყურადღება მახვილდება სამართალდარღვევათა და დანაშაულის სტატისტიკაზე.

6. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა – თავის თავში მოიცავს მცირე ისევე, როგორც ელიტური კორუფციის შეფასებას. ფასდება მმართველი ძალების მიერ საკუთარი უფლებამოსილების გამოყენების პრაქტიკა პირადი ინტერესებისთვის.

მოცემული ანალიზის მიზნებისთვის საქართველოს მაჩვენებლები შედარებულია აღმოსავლეთ ევროპისა⁵ და საქართველოს მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს. კერძოდ, ანალიზი მოიცავს შემდეგ ქვეყნებს:

- | | |
|----------------|---------------|
| 1. სომხეთი | 8. მოლდოვა |
| 2. აზერბაიჯანი | 9. პოლონეთი |
| 3. ბელარუსი | 10. რუმინეთი |
| 4. ბულგარეთი | 11. რუსეთი |
| 5. ჩეხეთი | 12. სლოვაკეთი |
| 6. საქართველო | 13. თურქეთი |
| 7. უნგრეთი | 14. უკრაინა |

საქართველოს მაჩვენებლები


ქვემოთ მოცემული სურათი ცხადჰყოფს, რომ საქართველომ მმართველობის ინდიკატორებში ყველაზე მაღალი შეფასება 2014 წელს მიიღო. ამ დრომდე

⁵ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის დეპარტამენტის სტანდარტით, https://www.newworldencyclopedia.org/entry/Eastern_Europe.

საქართველოს მაჩვენებლები სტაბილურად და სწრაფი ტემპით იზრდებოდა. მოცემული პერიოდის განმავლობაში ქვეყანამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან პროგრესს კანონის უზენაესობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებებში მიაღწია. კერძოდ, ადრეული 2000-იანი წლებიდან დღემდე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებელი გაიზარდა 5.56%-დან 76.44%-მდე, კანონის უზენაესობის კი - 15.35%-დან 63.94%-მდე (იხ. გრაფიკი 1).


მიუხედავად აღნიშნულისა, 2014 წლიდან ქვეყნის განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად შენედა. ამასთან, შეფასების თანახმად 2018 წელს ნაცვლად განვითარებისა რეგრესი დაფიქსირდა კანონის უზენაესობის, პოლიტიკური სტაბილურობისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართულებებში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი კლება პოლიტიკური სტაბილურობის მიმართულებაშია, სადაც 2014 წელთან შედარებით ქვეყნის მაჩვენებელმა დაახლოებით 5%-ით იკლო (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1 - საქართველოს მაჩვენებლები ინდექსის ექსპივი მიმართულებით (2002 -2018)



რაც შეეხება 2018 წლის მონაცემებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვეყანას რეგულირების ხარისხის კრიტერიუმში აქვს - 83.17%. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, რეგულირების ხარისხი აფასებს სახელმწიფოს უნარს შეიმუშაოს და გაატაროს რეფორმები კერძო სექტორის განვითარების მიზნით. საქართველოს მაღალი შეფასება აქვს ასევე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის (76.44%), ისევე როგორც ეფექტური მმართველობის კრიტერიუმში (74.04%). კანონის უზენაესობის მდგომარეობა ქვეყანაში შედარებით დაბალი - 63.94%-ით არის შეფასებული. ყველაზე პრობლემურ მიმართულებებს კი გამოხატვის თავისუფლება და პოლიტიკური სტაბილურობა წარმოადგენენ, შესაბამისად 56.16% და 30.00%-ით (იხ. გრაფიკი 2).

**გრაფიკი 2 - საქართველოს მაჩვენებლები
2018 წელი**




ინდივიდუალური კრიტერიუმები

გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება


გამოხატვის თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების მდგომარეობა საქართველოში 2018 წელს 56.16%-ით არის შეფასებული. მართალია აღნიშნული ნარმოადგენს გაუმჯობესებას წინა წელთან შედარებით, თუმცა ის კვლავაც ჩამოუვარდება 2014-2015 წლის მაჩვენებლებს. ამასთან, თავისთავად პრობლემურია, ის რომ ქვეყანის შეფასება მხოლოდ მცირედით აღემატება შესაძლო მაქსიმალური შეფასების ნახევარს (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3 - გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება საქართველოში 2010-2018




მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 2018 წელს გამოხატვის თავისუფლება საქართველოში საგრძნობლად აღემატება ევროკავშირის არაწევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ისევე როგორც საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების მაჩვენებლებს. თუმცა ამასთან, საქართველოზე მაღალი მაჩვენებელი აქვს რეგიონის ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. მაგალითად, ჩეხეთში გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება 80.79%-ით არის შეფასებული, სლოვაკეთში - 75.37%-ით, პოლონეთში კი - 72.41%-ით (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4 - გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 2018



რეგიონში 2018 წლის განმავლობაში გამოხატვის თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების მხრივ ყველა მნიშვნელოვანი პროგრესი სომხეთის შემთხვევაშია სახეზე 8.37%-იანი ზრდით, რომელსაც მოსდევს საქართველო 1.48%-იანი მატებით. მნიშვნელოვანი რეგრესი შეიმჩნევა გამოხატვის თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების მხრივ მოლდოვაში, რუმინეთში, თურქეთსა და უკრაინაში (იხ. გრაფიკი 5).


გრაფიკი 5 - გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები პროგრესი/რეგრესი (2017-2018)



პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა


შეფასების თანახმად, პოლიტიკური სტაბილურობა საქართველოში შეფასების ადრეული ეტაპებიდანვე ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ მიმართულებას წარმოადგენდა. მან ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 2014 წელს მიაღწია და მხოლოდ 34.76% შეადგინა. 2018 წლის მონაცემებით პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყანაში კიდევ უფრო დაბალი - 30% იანი მაჩვენებლით არის შეფასებული (იხ. გრაფიკი 6).

გრაფიკი 6 - პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა 2010-2018




2018 წელს პოლიტიკური სტაბილურობისა და ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრის კრიტერიუმში საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი შეფასება აქვს რეგიონში და ის მხოლოდ უკრაინის, რუსეთის, თურქეთისა და ამერბაიჯანის მაჩვენებლებს აღემატება. გარდა მოცემულ რეგიონში შემავალი ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა, პოლიტიკური სტაბილურობა საქართველოზე მაღალი ქულებით არის შეფასებული ასევე სომხეთსა და მოლდოვაში (იხ. გრაფიკი 7).

**გრაფიკი 7 - პოლიტიკური სტაბილურობა და
ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა
საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 2018**



მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ კრიტერიუმში საქართველო მაღალი ქულით არასდროს შეფასებულა, ინდექსის თანახმად ქვეყანაში ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა 2018 წელს. საქართველო რეგიონში წარმოადგენს ერთ-ერთ ისეთ ქვეყნას სადაც პოლიტიკური სტაბილურობის მხრივ რეგრესი ყველაზე მეტად არის შესამჩნევი (იხ. გრაფიკი 8).


**გრაფიკი 8 - პოლიტიკური სტაბილურობა და
ძალადობის/ტერორიზმის აღმოფხვრა
საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები
პროგრესი/რეგრესი (2017-2018)**



ეფექტური მმართველობა


ეფექტური მმართველობის კრიტერიუმში საქართველოს შეფასება მნიშვნელოვნად შემცირდა 2014 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში, რის შემდეგაც ის სტაბილურად იზრდებოდა და 2018 წელს წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი - 74.04% შეფასება მიიღო (იხ. გრაფიკი 9).

**გრაფიკი 9 - ეფექტური მმართველობა
2010-2018**




ეფექტური მმართველობის მხრივ, საქართველოს მაჩვენებელი აღემატება ევროპის ისეთი ქვეყნების მაჩვენებლებს როგორც არის უნგრეთი, ბულგარეთი და რუმინეთი. მიუხედავ აღნიშნულისა მოცემულ კრიტერიუმში საქართველოს კვალავაც უფრო დაბალი ქულით არის შეფასებული ვიდრე პოლონეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთი (იხ. გრაფიკი 10).

გრაფიკი 10 - ეფექტური მმართველობა საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 2018



2018 წელს ეფექტური მმართველობის მხრივ რეგიონის უმეტეს ქვეყნებში რეგრესი შეიმჩნევა. ასეთ ქვეყნებს წარმოადგენენ აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს ისეთ მეზობელი სახელმწიფოები, როგორებიც არიან რუმინეთი, ჩეხეთი, თურქეთი და ბულგარეთი. რაც შეეხება პროგრესს, გარდა საქართველოსა ეფექტური მმართველობის მდოგმარეობა 2018 წლის განმავლობაში გაუმჯობესდა სლოვაკეთში, ბელარუსსა და პოლონეთში. საქართველოზე მაღალი ქულით პროგრესი არის შეფასებული აზერბაიჯანში, სომხეთში, მოლდოვასა და უკრაინაში (იხ. გრაფიკი 11).


გრაფიკი 11 - ეფექტური მმართველობა საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები პროგრესი/რეგრესი (2017-2018)



რეგულირების ხარისხი


რეგულირების ხარისხი, მმართველობის ეფექტურობასთან ერთად წარმოადგენს იმ კრიტერიუმს, რომელშიც საქართველო წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი ქულით არის შეფასებული და 83.17%-იანი მაჩვენებელი აქვს (იხ. გრაფიკი 12).

გრაფიკი 12 - რეგულირების ხარისხი 2010-2018




საქართველოში კერძო სექტორის განვითარების მიზნით რეფორმების შემუშავებისა და გატარების უნარი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით არის შეფასებული აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით და ის მხოლოდ ჩეხეთის მაჩვენებს ჩამოუვარდება (იხ. გრაფიკი 13).

გრაფიკი 13 - რეგულირების ხარისხი საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 2018



აღმოსავლეთ ევროპისა და საქართველოს მეზობელი ქვეყნების უმრავლესობაში 2018 წელს რეგულირების ხარისხი გაუარესდა. ამ მხრივ პროგრესი მხოლოდ საქართველოში, ჩეხეთში, ბელარუსსა და უკრაინაში იქნა დაფიქსირებული (იხ. გრაფიკი 14).


გრაფიკი 14 - რეგულირების ხარისხი საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები პროგრესი/რეგრესი (2017-2018)



კანონის უზენაესობა


შეფასების თანახმად კანონის უზენაესობის მიმართულებით საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში, თუმცა მას შემდეგ კანონის უზენაესობის მდგომარეობა ქვეყანაში უარესდებოდა. მართალია, 2018 წელს კანონის უზენაესობის შეფასებამ მცირედით იმატა თუმცა ის კვლავაც ვერ დაუბრუნდა 2014-2016 წლების მაჩვენებელს (იხ. გრაფიკი 15).

**გრაფიკი 15 - კანონის უზენაესობა
2010-2018**




2018 წელს კანონის უზენაესობა საქართველოში ჩამოუვარდება ჩეხეთის, სლოვაკეთის, პოლონეთისა და უნგრეთის მაჩვენებლებს. კანონის უზენაესობის მდგომარეობა მსგავსია საქართველოსა და რუმინეთში. შედარებით დაბალი მაჩვენებლები აქვთ საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, ისევე როგორც უკრაინას, ბელორუსსა და მოლდოვას (იხ. გრაფიკი 16).

გრაფიკი 16 - კანონის უზენაესობა საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 2018



შეფასების თანახმად 2018 წელს კანონის უზენაესობის მდგომარეობა რეგიონის მასშტაბით მხოლოდ საქართველოში, ბულგარეთსა და უნგრეთში გაუმჯობესდა. რეგიონის სხვა ქვეყნებსა და საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებში კი ამ მხრივ რეგრესი იქნა დაფიქსირებული (იხ. გრაფიკი 17).


გრაფიკი 17 - კანონის უზენაესობა საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები პროგრესი/რეგრესი (2017-2018)



კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა


როგორ ზემოთ იქნა აღნიშნული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში სხვა კრიტერიუმებთან შედარებით ყველაზე მაღალი ქულით არის შეფასებული. მიუხედავად აღნიშნულისა 2018 წელს მოცემული მიმართულებით საქართველოს მაჩვენებელი გაუარესდა და ის დაუბრუნდა 2014 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს (იხ. გრაფიკი 18).

**გრაფიკი 18 - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა
2010-2018**




მიუხედავად 2018 წელს განცდილი რეგრესისა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს მიმართულებას, რომელშიც საქართველოს ყველაზე მაღალი შეფასება აქვს აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. საქართველოს საკუთარი შეფასებით უახლოვდებიან ჩეხეთი და პოლონეთი. რეგიონის სხვა ქვეყნებს კი, მათ შორის რუმინეთს, უნგრეთსა და სლოვაკეთს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ საქართველოზე საგრძნობლად დაბალი შეფასება აქვთ (იხ. გრაფიკი 19).

გრაფიკი 19 - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები 2018



კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განსხვავებით საქართველოსგან პროგრესი შეიმჩნევა რუსეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსსა და მოლდოვაში. ამ მხრივ ხაზგასასმელია, სომხეთი სადაც წინა წელთან შედარებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობამ 10%-ზე მეტით იმატა.

გრაფიკი 20 - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველო და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები პროგრესი/რეგრესი (2017-2018)



დასკვნა

მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების თანახმად საქართველომ 90-იანი წლებიდან დღემდე მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა ინდექსის მიერ შეფასებულ სახელმწიფო მმართველობის ექვსივე ინდიკატორში. განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს მიერ განვლილი გზა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. სახელმწიფოებრივი განვითარების ზრდის ტემპი შენარჩუნებული იყო 2010-2014 წლებშიც, რის შემდეგაც ის მნიშვნელოვნად შენედა. მრავალი მიმართულებით საქართველომ დღემდე ვერ შეძლო დაებრუნებინა 2014 წელს ნაჩვენები შეფასების მაღალი სტანდარტი.

საქართველოს შეფასება ჯერ კიდევ ძალზედ დაბალია გამოხატვის თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების, ისევე როგორც პოლიტიკური სტაბილურობის ინდიკატორებში. ბოლო წლის მონაცემებით კი რეგრესი შეიმჩნევა კანონის უზენაესობის მიმართულებით. 2018 წელს საქართველომ ნაცვლად წინა წლებში განვლილი გზის გაუმჯობესებისა მხოლოდ შეძლო და დაუბრუნდა 2014 წელს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებულ მაჩვენებელს.

საქართველოში დემოკრატიული მმართველობის შემდგომი განვითარებისა და მისი ევროკავშირის ქვეყნებთან დაახლოების მიზნით მნიშვნელოვანია, როგორც მიღწეული პროგრესის ხაზგასმა ისე იმ პრობლემებზე საუბარი, რომლებიც მსოფლიო ბანკის შეფასებამ გამოავლინა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება გამოხატვისა თავისუფლებას, კანონის უზენაესობასა და პოლიტიკურ სტაბილურობას.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული იქნება შესაბამისი ნაბიჯები და გატარდება ქმედითი რეფორმები, რომელთა შედეგადაც საქართველო დაუბრუნდება 2014 წლამდე არსებულ სწრაფი განვითარების ტემპს, რაც თავის მხრივ ასახვას პოვებს მსოფლიო ბანკის შემდგომ ანგარიშებში.